გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 88
(11 545)

9 – 12 ნოემბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი ხსნას ოჯახებში ეძებს

ქართულ სპორტს ასეთი „შავი დღე“ არასდროს დასდგომია. ფაქტობრივად, წლის სპორტული სეზონი ძირითადად დამთავრდა ექვს თვეში და უსახსრობით გაწამებულ სპორტულ ფედერაციებს ისღა დარჩენიათ ან სპონსორებს „დაუჩოქონ“, ანდა, სპორტსმენთა ოჯახებს წაუყენონ ულტიმატუმი: „გსურთ თქვენმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო შეჯიბრებებში? დადეთ ფული!“. ყოველივე ეს ქართული სპორტის ბოლო წლების თანმდევი რეალობაა, მაგრამ, რაც ახლა ხდება, როგორც იტყვიან, მტრისას. ქართულ სპორტს აღარანაირი გასაქანი არ აქვს, ყველა გზა მოუჭრეს, ნახევრად მკვდარი სეზონი დაუყენეს. თბილისში თუ ხმაურობს სპორტული ბაზები, მხოლოდ ქალაქის მერიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ახლა ჩვენი, საერთაშორისო შეჯიბრებებში „საოცარ ქართველ მართველებად“ მონათლული მოზარდი წყალმხტომელები, კიოლნში გაემგზავრნენ დიდ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ. ტურნირის ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ მეოცედ ტარდება და მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. ჩვენები კიოლნში „ლაგუნა-ვერეს“ სახელით ჩაებმებიან შეჯიბრებაში თავდადებული ახალგაზრდა მწვრთნელის ირაკლი ბართაიას ხელმძღვანელობით. ერთი სპორტსმენი ფირმა „ყაზბეგმა“ დააფინანსა, დანარჩენები... საკუთარმა ოჯახებმა.

მოკლედ, ქართული სპორტი ნელ-ნელა უბრუნდება „თემურ წყობილებას“.

საყვარელი მსახიობის და კომენტატორის იუბილეს – საფეხბურთო ჟურნირი მიეძღვნება

4

„ნუ განვაზოგადებთ ერთეულ ფაქტს, ან დაასახელონ ყველას გვარები, ან ჰასუხი აგონ ცილისწამებისათვის“ – აცხადებს ჩვენი ფეხბურთის მსაჯთა კორპუსი

4

გაზეთის დაბეჭდვის წინ:



გიორგი ასანიძე მსოფლიო ჩემპიონია

ანტალიაში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმატებით გაამდიდრა თავისი სპორტული ბიოგრაფია ჩვენმა სასიქადულო ათლეტმა გიორგი ასანიძემ. ამჯერად, მან სამშობლოს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა 85 კგ წონით კატეგორიაში. ორჭიდის ჯამში 390 კგ მოაგროვა (180+210). მეორე იყო ერევნელი გაგიკ ხაჩატრიანი – 387,5 (180+207,5); მესამე ადგილი წილად ხვდა ანატოლი ანისჩენკოს (ბელარუსი) – 385 კგ (177,5+207,5).

2002 წლის მსოფლიო შესარჩევი ეზაპი

6

ბოლივია – ბრაზილია

ეკვადორი – ურუგვაი

NBA

ბოსტონი – ვაშინგტონი

ჯორდანი (№23)

3

მარადონას გამოსათხოვარი მაჯჩი

6

ორთაბრძოლა გადატანილია

მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა საშუალო წონით კატეგორიაში ოსკარ დე ლა ჰოიას (აშშ) და რუსეთელ რომან კარმაზინს შორის დათქმულ დროს, 8 დეკემბერს არ ჩატარდება და ახალი თარიღი დამატებით გამოცხადდება. მსოფლიო კრივის საბჭოს ვერსიით, ეს მატჩი, როგორც იუწყებიან, გადაიდო ჰოიას ტრავმის გამო, რომელიც მას მიუღია ერთ-ერთ ვარჯიშზე. სრული აღდგენისათვის ვარაუდობენ, რომ ამერიკელ მოკრივეს მინიმუმ სამი თვე მაინც დასჭირდება — ხელი აქვს დაზიანებული.

„ვწუხვარ, რომ დეკემბრის დასაწყისში ვერ მოვახერხებ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვას. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ექიმები ყველაფერს გააკეთებენ ჩემი სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის“ — თქვა ამერიკელმა მოკრივემ, რომელმაც თავის კარიერაში, 36 ბრძოლიდან 34-ჯერ გამარჯვებულმა დატოვა რინგი. მას 5 სხვადასხვა წონით კატეგორიაში აქვს მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

სურათზე: ოსკარ დე ლა ჰოია და კარმაზინი (მარჯვნივ).

ბრაზილიელთა სიამაყე და „მექარეთა მომაკვდინებელი“ საავადმყოფოში მოათავსეს

სურათზე: ლეონიდასი

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 94 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

ხვალ თბილისში დიდი რაგბია



ვაკეში რაგბი დიდი მატჩით ბრუნდება. ქართველი ბორჯღალოსნები საფრანგეთის „ა“ ნაკრებს შეერკინებიან. მატჩი „ლოკომოტივის“ სტადიონზე ხვალ, 10 ნოემბერს, 15 საათზე დაიწყება. მასპინძელთა დამრიგებელმა, ფრანგმა კლოდ სორელმა, თანამემამულეებთან საპაექროდ 22 შეგირდს მოუხმო. ტრავმების გამო საქართველოს ეროვნული ნაკრები შესამჩნევად შესუსტებულია. ვერ ითამაშებენ – ილია ზედგინიძე, მევლუდ მთიულიშვილი, ლევან ცაბაძე, ვასილ აბაშიძე, ვასილ კაცაძე და გრეგუარ იაშვილი. ნაკრები სასტუმრო „ხედში“ დაბინავდა და მეოთხე დღეა გამალებულ მზადებაშია. ფრანგები შეხვედრის ფავორიტები არიან, თუნდაც ეს მეორე ანუ „ა“ ნაკრები იყოს, მაგრამ ჩვენი მორაგბეების მედგარი ხასიათის გათვალისწინებით, იოლი მატჩი სტუმრებს არ ექნებათ. მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მებრძოლი გუნდისთვის, საფრანგეთის ნაკრები შესანიშნავი სპარინგ-პარტნიორია. ამას დავუმატოთ ერთი კვირის შემდეგ სამხრეთ აფრიკის ნაკრების სტუმრობა. ორივე მატჩი ჩვენი ნაკრებისთვის გამოცდილების შეძენის, საკუთარ ძალებში დარწმუნების ჩინებული საშუალებაა. საკონტროლო მატჩები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

საფრანგეთის ნაკრები თბილისში გუშინ ჩამოფრინდა და სასტუმრო „პრიმავერაში“ განთავსდა, ფიქრის გორაზე. დღეს ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებენ, ხვალ, მატჩის დღეს, დილით კიდევ ივარჯიშებენ მსუბუქად, მერე კი მატჩიც დაიწყება.

საქართველო. *მორკინალები:* ლევან ცაბაძე (კასტრი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), გოდერძი შველიძე (ბეზიე), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), ლევან ჯაველიძე (ნანტი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში), ვანო ნადირაძე (ბურგ ან ბრესი), ვიქტორ დიდებულიძე (ნიმი), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), დავით ბოლღაშვილი (მაზამე), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (კრეზო).

უკანა ხაზი: გუჯა იოვაძე (აგდი), შოთა მოდებაძე (ნიმი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), თედო ზიბზიბაძე (მაზამე), კახა ალანია (ლოკომოტივი), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), გიორგი ბუგიანიშვილი (ლოკომოტივი), ირაკლი გიორგაძე (ტულონი).

საფრანგეთი „ა“. *მორკინალები:* დამიენ მინასიანი (გრენობლი), ბასტიენ სიპიელსკი (მონფერანი), ბენუა ლეკული (ტულუზი), მატიუ ბლინი (სტად ფრანსე), ფილიპ ეჩეგარაი (პო), რეჟის სიგუარი (სტად ფრანსე), მატიუ კადიკი (დაქსი), მატიას როლანი (კოლომიე), გვედალ ოლივიე (გრენობლი), ემანუელ ბალთაზარი (ბრივი), მიშელ დიოდი (ბეზიე), სიმონ აზულაი (ბეგლ-ბორდო).

უკანა ხაზი: ფაბრის კულინატი (კოლომიე), მატიუ ბორო (აჟანი), ბენჟამინ ბუაიე (ბურგუენი), დავიდ სკრელა (კოლომიე), ბენჟამინ ლამდე (კოლომიე), მატიუ დურთი (დაქსი), ანრი პიერ ვერმი (ბეგლ-ბორდო), ვენსან საბარდეილი (ნარბონი), ფრედერიკ სერმენო (პერპინიანი), ლორან მარტიკორენა (კოლომიე).

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

დამსახურებისათვის...

საერთაშორისო სპორტული ფედერაციები დიდად აფასებენ იმ ეროვნული ფედერაციების დამსახურებას, რომელთა წარმომადგენლებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებაში და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ მიიღო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტების ხელმოწერილი სიგელები თხოვნით ეროვნულმა ფედერაციამ თავის შეხედულებით გადასცეს ისინი ყველაზე გამორჩეულ სპორტსმენებს.

ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, პირველი სიგელი შეივსო საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონის **დავით ციმაკურიძის** სახელზე, რომელიც მას საზეიმოდ გადაეცა კიდეც.

* * *

ჩვენს ქვეყანაში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ოქროს მედლით დააჯილდოვა ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, სპორტის ვეტერანი მუშაკი **ალბერტ კუხიანიძე.**

ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის ჯურნირი

თბილისში დამთავრდა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის სახელობის პრიზზე. საქართველოს რეგიონებიდან შეკრებილ საუკეთესო ნორჩი ფალავნების გარდა, ტურნირში ჩაებნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები. სულ ხალიჩაზე გამოვიდა 206 სპორტსმენი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 39 კგ (19 მონაწილე): 1. სურენ ადიანი (ერევანი), 2. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 3. ჯამბულ ცოტაძე (თბ, ორს); ***42 კგ (16 მონაწილე):*** 1. მამუკა გურგენიძე (ხარაგაული), 2. ზვიად ბურჯალიანი (თბ, ორს), 3. მურთაზ კვესაძე (ქუთ. ორს); ***46 კგ (20 მონაწილე):*** 1. ირაკლი წოწონავა (ქუთ), 2. ედგარ არსენიანი (ერევანი), 3. გიორგი რიკაძე (ხაშური); ***50 კგ (22 მონაწილე):*** 1. ლევან ქოქოლაძე (ხელვაჩაური), 2. გიგლა მაყაშვილი, 3. გია გიგაური (ორივე — გორი); ***54 კგ (21 მონაწილე):*** 1. მალხაზ ქურდიანი (თბ, ორს), 2. ნოდარ ქოქოლაძე (ხელვაჩაური), 3. გოჩა ახალაძე (თბ, ორს); ***58 კგ (19 მონაწილე):*** 1. კობა კაკალაძე, (ბათ. ორს), 2. მალხაზ ზარქუა, 3. კობა მაქარაშვილი (ორივე — თბ. ორს); ***63 კგ (19 მონაწილე):*** 1. მალხაზ მუზიაშვილი, 2. ცოტნე ბარამიძე (ორივე — გორი), 3. ომარ ინაშვილი (ლ. თედიაშვილის სახ. კლ); ***69 კგ (26 მონაწილე):*** 1. ნიკო გაგნიძე, 2. ნუკრი ჯელაძე (ორივე — თბ. ლ. თედიაშვილის სახ. კლ), 3. არჩილ გიგაური („მართვე“); ***76 კგ (23 მონაწილე):*** 1. ვალერი მისურაძე (თბ. ორს), 2. გიორგი მოსულიშვილი („მართვე“), 3. არჩილ ბარამიძე (გორი); ***85 კგ (14 მონაწილე):*** 1. ბაჩანა კარანაძე (რუსთ), 2. არჩილ ხუციშვილი („შევარდენი“), 3. ევგენი ჩიხრაძე (თბ. ორს); ***მძიმე წონა:*** 1. ამირან მარკოიშვილი, 2. კობა კერესელიძე (ორივე თბ. — ორს), 3. გიორგი ცაგურია („მართვე“). ***გუნდური პირველობა:*** 1. საქართველო, 2. სომხეთი, 3. აზერბაიჯანი.



აჯილდოებს დავით ციმაკურიძე

რობერტ ბაგოიანის ფოტო

ნინო ძავთარაძე

13 მონაწილიდან 8 მედალი და ოთხი პრიზი

ასპარეზობის I და III პრიზიორი არსენ ფოპიანი

რობერტ ბაგოიანის ფოტოები

არტემ პარუნოვს გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის

კარატეს სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობით საერთაშორისო ტურნირებში და იქ მოპოვებული წარმატებებით განებივრებულებს, ჩვენიანების ყელა ახალი გამარჯვება კიდევ უფრო გვაამაყებს, მით უფრო, რომ დღეს უამრავი მოზარდი და ახალგაზრდა ეუფლება აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებას. გუჯურიუსა და შიტორიოში ათეულ ასობით მომეცადინეთაგან, შესაბამისმა ფედერაციებმა 13 უძლიერესი შეარჩიეს სომხეთში საასპარეზოდ, სადაც ქ. ვანაძორში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა სომხეთის გაქრისტიანების 1700 წლისთავთან დაკავშირებით. ორი ფედერაციის გაერთიანებულ საქართველოს ნაკრებს ზემოხსენებულ ტურნირში ხელმძღვანელობდა გამოცდილი სპეციალისტი მერაბ ტურაშვილი.

საქართველოს ნაკრები შინ დაბრუნდა. ოქროს სამი, ამდენივე ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით, აი ისინიც: ***15-18 წლიანები. კატა:*** ნუგზარ კაკულია (1 ადგილი), გენადი ხანიანი (II), ***13-15 წლიანები, კატა:*** გიგა ჭიკაძე (I), 3. არსენ აკოპიანი (III). ***ბავშვები. კუმიტე:*** არსენ აკოპიანი (I), 2. ლაშა ოდორაძე (II), ***დიდები. კუმიტე:*** აკაკი შავიშვილი (II), ლევან ძოწენიძე (III).

კატაში საუკეთესო ტექნიკისთვის თასი გადაეცა ტურნირის ყველაზე უმცროს მონაწილეს ბექა ლაშხს. კუმიტეში საუკეთესო ტექნიკისთვის კი არტემ პარუნოვი დაჯილდოვდა. მებრძოლი სულისკვეთებისთვის სპეციალური პრიზები გადაეცათ ლაშა თედორაძეს და გიორგი ცერცვაძეს.

ც. ბაძრაძე

გამოიწერეთ ღვინო 2002 წლისათვის

ჭიდაობა ჩვენი – ქართული

ბორჯომს ჰყავს ნორჩი ფალავნები

ქართულ ჭიდაობას ყველგან ჰყავს თაყვანისმცემლები, ტრადიციების ერთგულ გუშაგებად უპირველესად გვევლინებიან უფროსი ასაკის ადამიანები, რომლებიც თაობებს უნერგავენ და გადასცემენ ჩვენი ეროვნული საუნჯის სიყვარულს. ასეთი ადამიანები, მით უფრო, თუ თავად იყვნენ ახალგაზრდობაში ქართული ჭიდაობის მადლს ნაზიარევი, თავად იჩენენ თაოსნობას და მოზარდებისთვის შეჯიბრებებსაც ატარებენ, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია, განსაკუთრებით სოფლის რეგიონებისთვის. ერთი ასეთი პიროვნება გვსურს დღეს გაგაცნოთ — ოთარ ჩაჩანიძე, ბორჯომის მკვიდრი, ვეტერანი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი.

ქართული ჭიდაობისა და ახალგაზრდობისადმი მისი სიყვარულის დასაფასებლად ბორჯომში, ამ დღეებში, მეორედ ჩატარდა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში ოთარ ჩაჩანიძის პრიზზე, რომელშიაც ბორჯომისა და ახლომდებარე სოფლების ჭაბუკები მონაწილეობდნენ.

„თავის დროზე მე და ჩემს მეგობრებს შეჯიბრებებში გვიწევდა გამოსვლა, როცა ქუხდა ისეთი ფალავნების სახელები, როგორებიც არიან ვახტანგ ბალავაძე, სიმონ მაისურაძე, ლევან კაციაშვილი და სხვები. ისინი ჩვენი კერპები იყვნენ. მიმბაძველობის ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს“ — ამბობს ბატონი ოთარი.

ზემოხსენებულ ასპარეზობაზე ბორჯომის საჭიდაო დარბაზში უამრავი მაყურებელი შეიკრიბა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული ჭიდაობის სიყვარული ღრმადაა შემორჩენილი ხალხში. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: ***30 კგ:*** 1. ლაშა შალუტაშვილი, 2. ნოდარ ბლიაძე, 3. თენგიზ სამხარაძე; ***36 კგ:*** 1. გიორგი გოგოლაძე, 2. ჯუმბერ შუბითიძე, 3. გიორგი ხუციშვილი; ***42 კგ:*** 1. რევაზ ლაშხი, 2. ვახტანგ ნაჭყებია, 3. გიორგი გოგოლაძე; ***50 კგ:*** 1. ვანო მულაძე, 2. გიორგი კურტანიძე, 3. ჯემალ ტოტოშვილი; ***55 კგ:*** 1. ნოდარ გეგეშიძე, 2. ლაშა ჩადუნელი, 3. ირაკლი გელაშვილი; ***60 კგ:*** 1. მამუკა კაპანაძე, 2. ლევან თაბუკაშვილი, 3. ჯემალ ტოტოშვილი; ***66 კგ:*** 1. ირაკლი სამხარაძე, 2. ლაშა კაპანაძე, 3. სოსო ქვრივიშვილი; ***70 კგ:*** 1. სოსო გოგოლაძე, 2. არტურ ბურაჩანიანი.

სოფიო ხეთაგაშვილი, ბორჯომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



მზია ჯუღელიდან – ესასრულოგისაკენ

1956 წლის დასაწყისისთვის მელბურნში ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მაშინ, საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ოლიმპიური მომზადების ცენტრები, თუმცა მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მაღალ დონეზე თავისი რჩეული სპორტსმენების მოსამზადებლად მოახლოებული ოლიმპიური თამაშებისთვის. საკუთარი შესაძლებლობების შინ დემონსტრირების ჩიხებული საშუალება იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა.

ტანმოვარჯიშეთა ნაკრები, მეცნიერთა რჩევით, ერთხანს, ოლიმპიური პროგრამით, ღია ცისქვეშაც მეცადინეობდა, თუ რატომ, მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა სპორტში მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მთავრობის ასევე გასაიდუმლოებული დადგენილებით, ფართოდ ჩაებნენ სპორტში ადამიანის შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საკითხების კვლევაში.

ასპარეზობა ღია ცის ქვეშ

მზია შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ 1956 წლის ოლიმპიადაც მის სპორტულ ბიოგრაფიაში ღირსეულ ადგილს დაიკავებდა. მაგრამ მოხდა ის, რომლისგანაც არავინაა დაზღვეული – მზია ავად გახდა, სპარტაკიადის დაწყების წინ მოიწამლა. ღონეგამოცლილი, მაინც ჩაება შეჯიბრებაში. თავის „სადედოფლო“ პროგრამაში – ბჯენით ხტომებში მხოლოდ მეოთხე ადგილს იკავებს. ფაქტობრივად, სწორედ იმ დღეს დაიკარგა ოლიმპიადაზე, მელბურნში გამგზავრების შანსი. რა უნდა ეღონათ ნაკრების მწვრთნელებს, ამ თითქოს არცთუ ორდინარულ შემთხვევაში? სპარტაკიადას საბოლოოდ უნდა დაესახელებინა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა. ცხადია, არავინ დაუშვებდა და უსამართლობაც იქნებოდა, თუ საპრიზო ადგილის მიღმა დარჩენილ ტანმოვარჯიშეს, ვთქვათ, თუნდაც სპარტაკიადაში გამარჯვებულს ანაცვალებდნენ. ასე მოულოდნელად გადაესვა ხაზი ოლიმპიადაში მონაწილეობის ოცნებას.

მაგრამ, მზია ჯუღელი საბჭოთა რჩეულ ტანმოვარჯიშეთა სიიდან არ ამოურიცხიათ, მის სახელსა და დიდებას კიდევ შეეძლო გაეწია სასარგებლო სამსახური საბჭოთა სპორტის პროპაგანდისთვის უცხოეთში. ტურნეები, თუ საჩვენებელი გამოსვლები, საზღვარგარეთ გრძელდებოდა, არც უშუალოდ ოლიმპიადის წინ შემწყდარა ეს პროცესი.

სპორტსმენებს არავინ არაფერს ეკითხებოდა, მაშინაც კი, როცა ორად გაყოფილი ერთი ნაკრები, სხვადასხვა ქვეყანაში მიემგზავრებოდა ერთდროულად. მწვრთნელებმა და მათ უკან მდგარმა ფუნქციონერებმა, უკეთ იცოდნენ, ვინ სად გაეშვათ. იმ ეპოქაში მეგობრებს ნებაყოფლობით ცხოვრებაში ირჩევდნენ მხოლოდ, სპორტში სხვა დაუწერელი კანონები მოქმედებდა. არა თუ მეგობრებს, სპორტსმენ მეუღლეებსაც კი სხვადასხვა მიმართულებით გაუშვებდნენ ხოლმე „თუ ასე იყო საჭირო“.

შუაზე გაყოფილი საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნაკრების ერთი ჯგუფი, მაშინ შვეიცარიაში გაემგზავრა, მეორე – ჰოლანდიაში. მზია ჰოლანდიაში მოხვდა. ხანაც ნაკრები შეერთდებოდა ხოლმე, ისე, როგორც, მაგალითად, პოლონეთში და რუმინეთში მოხდა ოლიმპიადის წინ.

მზია ჯუღელი: „გასაგებია რა განწყობა დამეუფლებოდა, მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ მელბურნისაკენ მიმავალი გზა ჩემთვის მოჭრილი იყო. არადა, როგორ მსურდა კიდევ ერთ ოლიმპიადაში მიმეღო მონაწილეობა. ამას ჩემგან ხომ ყველა ელოდა. დარდის გასაქარვებლად უცხოეთში მოწყობილ ტურნეებში მონაწილეობა ერთგვარი შეღავათი იყო მხოლოდ, თუმცა თავს „ჩამოწერილად“ სულაც არ ვგრძნობდი. დიდი მადლობელი დავრჩი სამუდამოდ, ვინც მაშინ მითანაგრძნობდა, ამას ვამბობ, როგორც თანაგუნდელების, ისე სპორტის ფუნქციონერების მისამართით. ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რომელმაც უჩემოდ ჩაიარა და შორიდან გულშევმატკივრობდი ჩვენს ნაკრებს, კვლავ გაგრძელდა მიწვევები უცხოეთში. ოლიმპიადისშემდგომი პირველი ტურნე, მათთვის, ვინც ვერ მოვხვდით მელბურნში, ინდოეთში დაიგეგმა“.

თენგიზ გაჩეჩილაძე

დასაწ. იხ. „ლელო“ №40.... 86.

გაგრძელება იქნება

ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

NBA

6 ნოემბერი

კლივლენდი — საკრამენტო 99:115
ფილადელფია — ინდიანა 77:87
მაიამი — სიეტლი 87:85 (დ.დ.)
მინესოტა — ნიუ-იორკი 104:94
სან ანტონიო — ორლანდო 104:89
დალასი — შარლოტი 110:92
ჰიუსტონი — დენვერი 99:93
ფინიქსი — მემფისი 113:101
პორტლენდი — იუტა 101:83

7 ნოემბერი

ბოსტონი — ვაშინგტონი 104:95
ტორონტო — გოლდენ სტეიტი 109:92
ნიუ-იორკი — კლივლენდი 82:64
ინდიანა — საკრამენტო 116:104
ჩიკაგო — დეტროიტი 73:97
იუტა — ატლანტა 96:89
კლიპერსი — მემფისი 108:92



სურათზე: კლიპერსი — მემფისი

საბონისი

საბონისი ევროლიგის მთელ სეზონს გაამოგზავებს

ცნობილმა ლიტველმა კალათბურთელმა არვიდას საბონისმა გადაწყვიტა თავის ახალ კლუბ „ჟალგირისში“ (კაუნასი) ამ სეზონში არ იასპარეზოს ევროლიგის მატჩებში. ნბა-ს ყოფილმა მოთამაშემ ეს იმით ახსნა, რომ უამრავი ტრავმების გამო, უბრალოდ, მზად არ არის გამოვიდეს ევროპის საკლუბო ტურნირში.

„საერთოდ, როგორ შემიძლია გამოვიდე მოედანზე ასეთ მდგომარეობაში? იმისთვის, რომ ვითამაშო, მესაჭიროება მინიმუმ სამი თვე საწვრთნო ბანაკში გავატარო. ამიტომ ამ სეზონს ნამდვილად გამოვტოვებ, ხოლო თუ რა იქნება მომავალში, ვნახავთ, როცა ეს დრო დადგება“ — თქვა საბონისმა.

„მასტერსის თასი“

სიდნეიში შედგა ჩოგბურთში „მასტერსის“ თასის გათამაშების წილისყრა. ამ შეჯიბრებაში იასპარეზებს ის რვა ჩოგბურთელი, რომლებსაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ წლის განმავლობაში. ჩოგბურთელები დაიყვნენ ორ ჯგუფად, აქედან ორ-ორი საუკეთესო გადის ნახევარფინალში. წილისყრის შედეგად, პირველ, „კენი როზუელის“ ჯგუფში გაერთიანდნენ: გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, რეიტინგით — 1), ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 4), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 8), გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5).

მეორე ჯგუფში, რომელსაც „ჯონი ნიუკომბის“ ჯგუფს უწოდებენ, გაერთიანდნენ: ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 2), ანდრე აგასი (აშშ, 3), პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 6) და სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი, 7).

პირველი შეხვედრები გაიმართება 13 ნოემბერს.

მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში

თურქეთის ქალაქ ანთალიაში გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში.

ქალები: 58 კგ: 1. ალექსანდრა კლეინოვსკა (პოლონეთი) — 215 (92,5+122,5), 2. ლიუ ბინი (ჩინეთი) — 212,5 (95+117,5), 3. მარიეტა გოტფრიდი (პოლონეთი) — 202,5 (95+107,5).

ვაჟები. 69 კგ: 1. გალადინ ბოევსკი (ბულგარეთი) — 340 კგ (150+190), 2. გიორგოს ცელიდისი (საბერძნეთი) — 335 (150+185), 3, რეიჰანი არაბაჩიოღლუ (თურქეთი) — 335 (155+180).



აბას ნადერი

77 კგ: 1. აბას ნადერი (ყატარი) — ***365 კგ*** (162,5+202,5); 2. არსენ მელიქიანი (სომხეთი) — 365 (165+200); 3. ოლეგ პერეპეჩენოვი (რუსეთი) — 360 (160+200).

კუერტენი

იუნესკოს ჯილდო კუერტენს

მსოფლიო პირველი ჩოგანი ვაჟებში გუსტავო კუერტენი დაჯილდოვდა პრიზით „იუნესკო-2001“. 25 წლის ჩოგბურთელს ჯილდო გადაეცა იმ სიკეთისთვის, რაც მან ბრაზილიას მოუტანა. შარშან კუერტენმა საკუთარი ინსტიტუტი დააარსა, რომელსაც დედამისი უძღვება. მთავარი ისაა, რომ ეს ინსტიტუტი შეიქმნა ღარიბი ბავშვების სოციალური ინტეგრაციისათვის სპორტის გზით. ეს დაწესებულება სრულადაა უზრუნველყოფილი ინვენტარით, საკვებით და ტრანსპორტით, ეხმარება ღარიბ ოჯახებს მათი შვილების ტალანტის გახსნაში. იუნესკოს ჯილდო სწორედ ამ ქველმოქმედების გამოძახილია.

ულრიხის მიზანია მოიგოს „ტურ დე ფრანსი – 2002“

ულრიხი

უძლიერესი გერმანელი ველოსიპედისტი, სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და „ტურ დე ფრანს – 1997“ წლის გამარჯვებული იან ულრიხი გაძლიერებულ წვრთნას იწყებს, რათა 2002 წელს მარცხი აწვნიოს ძირითად კონკურენტს – ლენს არმსტრონგს, რომელიც უკვე ზედიზედ სამი წელიწადია ამ ველოსიპედისტში გამარჯვებული გამოდის.

შვებულების შემდეგ, ულრიხი მწვრთნელ პიტერ ბეკერის ხელმძღვანელობით ემზადება. ველოსიპედისტის ახლო მეგობარი და მენეჯერი რუდი პავენანეი „ტელეკომიდან“, აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც „ტელეკომის“ იუნიორთა გუნდს ჩამოშორდა, მეტი დრო რჩება ნაყოფიერად იმუშაოს ულრიხთან.

21-28 ნოემბრიდან ულრიხს ალპებში სათხილამურო ვარჯიშები აქვს დაგეგმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა, XV ტური, ანონსი

მეთხუთმეტე, ვისთვის პური, ვისთვის ცარიელი ჭური

ასეა ყოველთვის, ყოველი ტურის წინ მოასპარეზე კლუბები გარკვეულ ამოცანას დაისახავენ. ერთნი ლოკალური მიზნების განხორციელებას ლამობენ, მეორენი უფრო მასშტაბურად აზროვნებენ და იწყება ჭიდილი დიდსა და მცირეს შორის. გამარჯვებული კი მუდამ ძლიერია. მეთხუთმეტე ტური, რომელიც დღეს გაიმართება, ზემოთქმულის გამონაკლისი აბა როგორ იქნება, სანამ მატჩები დაიწყება ყველას შანსი თანაბარია, თუმცა თითოეულ შეხვედრას თავისი ფავორიტი ჰყავს.

მცხეთაში გასამართი მატჩის, თბილისური დერბის მასპინძელი „ვიტ ჯორჯია“ „ლოკომოტივს“ მასპინძლობს. ვიტელები, სამწუხაროდ, თითქოს დაეჩვივნენ შინ „ოქროს“ ქულების გაფლანგვას. ასე მოხდა წინა ტურში „მეტალურგთან“ პაექრობისას. დღევანდელი მეტოქე კი გაცილებით ძლიერი და ამბიციური ეყოლებათ ვეტერინარებს. ეს შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად შეიძლება ჩავთვალოთ. ზესტაფონელები, რომლებსაც ფარ-ხმალი ჯერ არ დაუყრიათ და აუტსაიდერობას ძნელად ეგუებიან, თბილისის „დინამოს“ შინ მიიღებენ და უნდა ვივარაუდოთ, უბრძოლველად არაფერს დაუთმობენ. „დინამო“ ზირაქიშვილის დაბრუნებამ შეტევაში შესამჩნევად გააძლიერა, ზაზასაგან ნებისმიერი გუნდი ხიფათს უნდა ელოდოს, მით უმეტეს, დინამოელთა სნაიპერს გოლის ალღო კვლავ გამძაფრებული აქვს, რაც „დინამოს“ ბოლო მატჩებმაც დაადასტურა. უმძაფრესი შერკინებაა მოსალოდნელი ზღვისპირეთში. აჭარლები აჭალელებს რევანშის წყურვილით დაუხვდებიან. ბათუმის „დინამოს“ და „მერანის“ შეხვედრა, მართლაც ტურის უმთავრესი მატჩია. ტურის კიდევ ერთი მატჩი, რომელშიც, არა თუ გამარჯვებულის, ფავორიტის გამოცნობა უძნელესი და სარისკო საქმეა, „გორდა“ კურორტის ჰავას მიჩვეულ „სამგურალს“ მასპინძლობს. გუნდებს შორის მანძილი სულ სამი ქულით განისაზღვრება, რაც პაექრობის სიმძაფრის მანიშნებელია. „სიონი“ — „ტორპედოსა“ და „გურია“ — „კოლხეთი1913“-ის შეხვედრებში ფავორიტის გამოცნობა თითქოს ადვილია, მაგრამ ასეთი აზრი ნამდვილად უმართებულოა. ბოლნისელები ზედა ექვსეულში შესაღწევად ალბათ, არც ოფლისღვრას, არც მეტოქეს, მისი მრისხანების მიუხედავად, არ მოერიდებიან. „ტორპედოს“ კი ზურგს უკან თბილისური „მატარებელი“ მისდგომია და დაწევას ეშურება. წინა ტურში „გურიაც“ დამარცხდა და „კოლხეთიც“. ერთმა საუკეთესო ექვსეულისკენ სავალი გზა გაიმრუდა, მეორე პირდაღებულ ფსკერს მიუახლოვდა.

მოკლედ, ვინ საპურმარილოდ მოიცლის, ვის ცარიელი ქვევრი შერჩება, დღესვე გვეცოდინება.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტორპედო	14	11	2	1	36-10	35
ლოკომოტივი	14	11	1	2	30-8	34
მერანი	14	8	1	5	26-21	25
დინამო (თბ)	14	7	3	4	26-12	24
დინამო (ბთ)	14	6	4	4	19-12	22
კოლხ.1913	14	6	3	5	23-23	21
ვიტ ჯორჯია	14	5	5	4	19-16	20
სიონი	14	4	4	6	10-20	16
სამგურალი	14	2	4	8	10-25	10
გურია	14	1	6	7	11-24	9
მეტალურგი	14	1	5	8	6-27	8
გორდა	14	1	4	9	10-28	7

ბომბარდირები

8 — აშვეთია (ტორპედო)
ბობოხიძე (დინამო თბ)
წივწივაძე (კოლხეთი 1913)
გაგუა (მერანი)
7 — დათვაძე (ლოკომოტივი)
პოროშინი (ტორპედო)
6 — გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია)
დავითაშვილი (მერანი)
იონანიძე (ტორპედო)
მაჭუტაძე (დინამო ბთ).

მატჩები გადაიდო

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების შესარჩევმა მატჩებმა და მორაგბეთა ეროვნული გუნდის ფრანგებთან და სამხრეთაფრიკელებთან გასამართამა ტესტ-მატჩებმა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარში მცირე კორექტივები შეიტანა. უმაღლესი ლიგის XVI ტურის შეხვედრა „ლოკომოტივი“ — „გურია“ 18 ნოემბრის ნაცვლად ორი დღით ადრე, 16 ნოემბერს, გაიმართება. თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა „მეტალურგი“ — თსუ 13 ნოემბრის მაგიერ, ერთი დღით გვიან, 14 ნოემბერს ჩატარდება და 14 საათზე დაიწყება. გადაიდო პირველი ლიგის XV ტურის მატჩი „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — თსუ, რადგან სტუდენტური გუნდის ოთხი ფეხბურთელი ჭაბუკთა ნაკრების წევრია.

მსაჯები, ინსპექტორები

9 ნოემბერი, პარასკევი

ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი. მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი ა. მილჩენკო.

მეტალურგი — დინამო (თბ). მთავარი მსაჯი — მ. მაისურაძე, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ბუიშვილი, ინსპექტორი მ. ლაცაბიძე.

დინამო (ბთ.) — მერანი. მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.

გორდა — სამგურალი. მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ელიკაშვილი, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ა. მეშკოვი, ინსპექტორი გ. ძამუკაშვილი.

სიონი — ტორპედო. მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — მიქელაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ე. სილაგავა.

გურია — კოლხეთი 1913. მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, სამხარაძე, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი.

ანონსი. პირველი ლიგა, XV ტური

მილანი — თორი
ქობულეთი — ლოკომოტივი3
კოლხეთი (ხ.) — ლაზიკა
დინამო 2 — ცხინვალი
მერანი 2 — დილა
ლოკომოტივი (სამტრედია) — თსუ (გადაიდო)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ქობულეთი	14	9	3	2	19-9	30
დილა	14	9	2	3	30-7	29
თსუ	14	9	2	3	26-9	29
მილანი	14	8	4	2	31-12	28
ცხინვალი	14	7	2	5	28-20	23
ლოკომოტ.3	14	6	5	3	22-15	23
დინ.2 (თბ)	14	6	1	7	12-15	19
ლაზიკა	14	5	3	6	16-23	18
ლოკ.(სამტ.)	14	3	4	7	12-22	13
კოლხ. (ხ)	14	2	6	6	10-22	12
მერანი2	14	2	1	11	3-28	7
თორი	14	1	1	12	9-41	4

კოტე მახარაძის 75 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი



თბილისის მერიის, თბილისის ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების ფონდის თაოსნობით, 10-15 ნოემბერს სპორტის სასახლე მინიფეხბურთში დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. მონაწილეობენ 13-15 წლის ყმაწვილები. ორ ასაკობრივ ჯგუფებში (1986 და 1988 წლებში დაბადებულნი) იასპარეზებენ 16-16 საფეხბურთო სკოლისა და კლუბების გუნდები – თბილისიდან, ქუთაისიდან და ბაქოდან. გუშინ სასტუმრო „ილიანში“, ფიქრის გორაზე, შედგა ტურნირის ორგანიზატორთა პრესკონფერენცია, სადაც გამოცხადდა, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება. პირველ შეჯიბრებაზე კი, რომელიც სტარტს ხვალ, 10 ნოემბერს აიღებს, მთავარი მსაჯი იქნება მალხაზ კობიაშვილი. თამაშები 11 საათზე დაიწყება. საზეიმო გახსნა 16 საათზეა დაგეგმილი. გულშემატკივრებს ლამაზი სანახაობა ელით. შესანიშნავი მსახიობის, ყოფილი სპორტსმენის და ჩინებული კომენტატორის კოტე მახარაძის საიუბილეო ტურნირი საინტერესო და დაძაბულ მატჩებს გვპირდება. ორივე ასაკში ფინალური მატჩები 15 ნოემბერს გაიმართება, მოეწყობა დასკვნითი სპორტული ზეიმი და დახურვა.

გელით, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

ჯგუფები (1986)

ჯგუფი I
1. „მერანი-1“ — თბილისი
2. „მართვე“ — ქუთაისი
3. „თბილისი“ — თბილისი
4. „ლოკომოტივი“ — თბილისი

ჯგუფი II
1. „ოლიმპიკი“ — თბილისი
2. „35-ე სკოლა“ — თბილისი
3. „შაფა“ — ბაქო
4. „მერანი-91“ — თბილისი

ჯგუფი III
1. „დინამო-1“ — თბილისი
2. „ვაკე“ — თბილისი
3. „მერანი-2“ — თბილისი
4. „შევარდენი“ — თბილისი

ჯგუფი IV
1. „35-ე სკოლა“ — თბილისი
2. „აკადემია-1“ — თბილისი
3. „მართვე“ — თბილისი
4. „აკადემია-2“ — თბილისი

ჯგუფები (1988)

ჯგუფი I
1. „დინამო“ — თბილისი
2. „მართვე“ — თბილისი
3. „მერანი“ — თბილისი
4. „ავაზა“ — თბილისი

ჯგუფი II
1. „ოლიმპიკი“ — თბილისი
2. „XXI საუკუნე“ — თბილისი
3. „ასს“ — თბილისი
4. „35-ე სკოლა-2“ — თბილისი

ჯგუფი III
1. „35-ე სკოლა-1“ — თბილისი
2. „ვაკე“ — თბილისი
3. „ირაო-1“ — თბილისი
4. „მართვე-არწივი“ — თბილისი

ჯგუფი IV
1. „კავკასიონი“ — თბილისი
2. „დინამო-2“ — თბილისი
3. „საბურთალო“ — თბილისი
4. „მთვარის გლობუსი“ — თბილისი

სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

გოჩა გუჯაბიძემ მსაჯს დაარტყა, ჩაარტყა თუ?..

მერანელი მცველის გოჩა გუჯაბიძის საქციელი „სიონი“ – „მერანის“ კალენდარულ მატჩში, როდესაც ფეხბურთელი მსაჯის, დოგრაშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო, არბიტრს ფიზიკურად შეეხო, სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის 223-ე სხდომაზე, დიდი ხნის მსჯელობის საგნად იქცა. კოლეგია სწორედ იმას არკვევდა დაარტყა, ჩაარტყა თუ, საერთოდ, არ მიკარებია მსაჯს ფეხბურთელი. თავად მოთამაშე კი იფიცებოდა, საერთოდ არ შევხებივარ დოგრაშვილსო და სრული არეულობის ფონზე მარტო ვისჯებიო. მატჩის ინსპექტორის ძამუკაშვილის პატაკი სხვას ამტკიცებდა – რამდენიმე წუთით შეწყვეტილ მატჩში ავჭალელები მსაჯს მისცვივდნენ და გადაწყვეტილების შეცვლას უმართებულოდ ითხოვდნენ, გუჯაბიძემ ჩოჩქოლით ისარგებლა და მსაჯს კეფაში უთავაზა. მტყუან-მართალში უკეთ გასარკვევად, მაშინ, როცა სხდომას არც მსაჯები, არც ინსპექტორი დაესწრო, კოლეგიამ საკითხის განხილვა შემდგომი სხდომისთვის გადასდო. კონსულტაციები სხდომის შემდეგაც სფფ-შიც გაგრძელდა. კოლეგიის წევრები მომხდარში, ასე თუ ისე, გაერკვნენ და საბოლოო განაჩენს მომავალ კოლეგიაზე გამოაცხადებენ. ფეხბურთელმა კი ინციდენტის შემდეგ, უკვე სამი მატჩი გამოტოვა.

ჩვენს ფეხბურთში გუნდების ხელმძღვანელთა, მაყურებელთა და ფეხბურთელთა თავშეუკავებლობა ძველი პრობლემაა. კოლეგიამ ასეთი დარღვევები ამჯერადაც განიხილა. ისევ უწესრიგობაა ბათუმში „დინამოს“ მატჩებისას. ზღვისპირელთა და „ლოკომოტივის“ მატჩისას აღგზნებული გულშემატკივარი სკამების ნამტვრევებს და ქვებს ისროდა მინდორზე. ბათუმურ სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია წლის ბოლომდე, უკანასკნელი გაფრთხილება და ჯარიმა 300 ლარი გამოუნერეს. თითქმის ანალოგიური უწესრიგობისთვის, სიონის სტადიონი წლის ბოლომდეა პირობითად დისკვალიფიცირებული. ხელმძღვანელობა უკანასკნელად გააფრთხილეს და 150 ლარი გადაახდევინეს. სხდომის დამსწრე ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში აურზაურის გამომწვევი კლუბების თავკაცები და ფეხბურთის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხი ვართ, მანკიერების უმრავლესობა კი ფეხბურთის ფედერაციას უსაფუძვლოდ ბრალდებაო. ცხინვალი – თსუ-ს მატჩისას სტუდენტთა გადამეტებული ქომაგობისთვის „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი მალხაზ კაკაურიძე კოლეგიამ გააფრთხილა. ზესტაფონელთა და ბათუმელთა მატჩში გამოხატული უსაზღვრო ემოციებისთვის გააფრთხილეს მეტალურგების პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი. ინდივიდუალური სასჯელები ასე განაწილდა – „მერანი“2-ის ფეხბურთელი დავით ქირია და თითქმის მისი თანაგუნდელი უმაღლესლიგელი „მერანის“ ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე ორი ყვითელი ბარათის მიღებისა და გაძევების გამო თითო მატჩს გამოტოვებენ და 50-50 ლარს გადაიხდიან. მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მკაცრად დაისაჯა ზუგდიდის „ლაზიკას“ მოთამაშე ვლადიმერ ლიპარტია – 4 მატჩით დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა – ასეთია კოლეგიის განაჩენი.

ბორჯომის „თორს“ ქობულეთში მატჩზე დაგვიანებისთვის, რის გამოც შეხვედრა არ შედგა, ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალა.

ავტოავარია შემოგვეჩვია

თითქოს მოქმედი თუ ვეტერანი ფეხბურთელების ტრაგიკული დაღუპვა არ კმაროდა, ახლა ავტოავარიებმა მსაჯებსაც დარია ხელი. ახლახან, რეგიონული ლიგის მატჩიდან დაბრუნებული მსაჯები ნაკაიძე და გურგენაძე მოჰყვნენ ავარიაში, ორი დღის წინ კი იგივე შეემთხვა უმაღლესი ლიგის მსაჯს კახაბერ მესხს. ორივე ავარიის მსაჯებმა მძიმე ტრავმები მიიღეს და საკმაო ხანთ მსაჯობას ვეღარ შეძლებენ.

დაფარულად არაფერს ვაკეთებთ!

მსაჯები დაინიშნებიან

ასეთი კატეგორიული იყო სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წევრთა განცხადებები გუშინწინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ***ანატოლი მილჩენკო:*** „ტელევიზიითაც ვთქვი, და ახლაც გავიმეორებ, მასმედიასთან პროდუქტიულად ვმუშაობთ, ხშირად ხდება ჩვენი შეხედულებების თანხვედრა. დაფარულად არაფერს ვაკეთებთ, დასამალი არაფერი გვაქვს. ქრთამზე რომ ვლაპარაკობთ, ის, ვინც ასეთ უმსგავსობას მსაჯებს გვაბრალებს, კეთილი ინებოს ყველა კორუმპირებული მსაჯი პიროვნულად დაასახელოს, თუ არა, ცილისწამებისათვის პასუხი აგოს და ექსპერიმენტებს თავი ანებოს“.

ოთარ გუნთაძე: „პასუხისმგებლობას არ ვიხსნით. მოსაშორებელი მოვიშორეთ. საექსპერიმენტო არაფერია, კრიჭაშვილმა თვითონ აღიარა დანაშაული. არბიტრების მოსყიდვას თვითონ კლუბების ხელმძღვანელები ცდილობენ, ძაბავენ ვითარებას და როდესაც არაფერი გამოსდით, გულს ასკდებიან. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის მოვალეობა კი მსაჯების მომზადებაა, ფიფა-უეფადან მოსული სიახლეების შესწავლა და დანერგვაა. თუმცა, გამორიცხულია ვინმეს შევპირდეთ, რომ მსაჯები, ამიერიდან, უშეცდომოდ იმსაჯებენ, ეს ჩვენი მუშაობის თანამდევი პროცესია და იმის აღიარება, რომ ასე აღარ იქნება, თავის და საზოგადოების მოტყუება იქნება. პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ჩვენს მოღვაწეობაში არ არის მიკერძოება და ანგარება“.

აზრი სხვებმაც გამოთქვეს, ჟურნალისტთა შეკითხვებსაც უპასუხეს და აღნიშნეს, რომ არც ერთ მსაჯს არ სურს გაუძღვეს რუსთავის „გორდას“ მატჩებს, რისი მიზეზიც უპირველესად გუნდის პრეზიდენტის თემურ ბუიღლიშვილის უპასუხისმგებლო განცხადებებია. პრესკონფერენციაზე გაცხადდა, რომ მატჩების არბიტრები კენჭისყრით აღარ აირჩევიან. ფიფას 764-ე ცირკულარული წერილის მითითებით, ამიერიდან მსაჯები დაინიშნებიან. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მატჩებზე მათი რისკის დონის, სირთულის, არბიტრთა გამოცდილების გათვალისწინებით შეარჩევს მსაჯებს, დანიშნავს მათ და დასამტკიცებლად სფფ-ს ხელმძღვანელობას წარუდგენს. რაც მთავარია, ქართული სამსაჯო სკოლა ახალგაზრდებით ივსება — ლევან კვარაცხელია, ალეკო გუნთაძე, ჯუმბერ ბუიშვილი, ავთანდილ კიკაჩეიშვილი, ოთარ ხეცაძე, ელისაბედაშვილი, სილაგავა, ვადაჭკორია, ურუშაძე — აი მათი არასრული სია.

საერთოდ, მსაჯთა დანიშვნისას, ზემოთქმულთან ერთად, გაითვალისწინებენ გამოცდების შედეგებს, ნორმატივების მაჩვენებლებს, რეჟიმის დაცვის უნარს, მათ პატიოსნებას. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი, ცხადია, აღნიშნულ თვისებებს, ადრეც ითვალისწინებდა.

ცხრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჩურნირი. 7 ნოემბერი. იორკი.

ინგლისი – საქართველო 4–1

ინგლისი: გრანტი, ჰოუ, ჰილტონი, კლარკი, ჯონსონი, ჯინესი, ონილი, კუკი, (დოგდაჩი 75), ჩოპრა, მორგანი (ტომასი 68), ეშტონი (მერი 72).

საქართველო: ჭრიკიშვილი, ქუხილავა, გუშარაშვილი, ციმაკურიძე, ლომიძე, მამფორია, ფეიქრიშვილი, დათუნაიშვილი, ელიავა (ქოქიაშვილი 65), სამხარაძე (იაშვილი 78), მოდებაძე (ებანოიძე 73).

გოლები: 0-1 მოდებაძე (43), 1-1 ჯინესი (49), 2-1 ჩოპრა (53), 3-1, 4-1 ეშტონი (71 პ, 74 პ).

ჭაბუკები პირველ მაჩჩეზი დამარცხდნენ

ინგლისის ქალაქ იორკში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი გამართა საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა. გელა გომელაურის შეგირდები მასპინძლებს, ინგლისელ თანატოლებს პირველ ტაიმში ტოლ-სწორად ეთამაშნენ და მოდებაძის გოლით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მეორე ტაიმში ბრიტანელთა საერთო უპირატესობა ანგარიშშიც აისახა და ჩვენი ჭაბუკები 1-4 დამარცხდნენ. საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს დღეს, 9 ნოემბერს, გამართავს უნგრელებთან.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

რუსეთი

XXX ტური

ანჟი — როტორი 0-0
დინამო — ფაკელი 6-2
ალანია — როსტსელმაში 3-0
კრილია სოვეტოვი — სატურნი 2-0
ლოკომოტივი — სპარტაკი 2-1
სოკოლი — ცსკა 0-2
ტორპედო — ტორპედო ზილი 1-0
ზენიტი — ჩერნომორეცი 2-1



საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სპარტაკი	30	17	9	4	56-30	60
ლოკომოტივი	30	16	8	6	53-24	56
ზენიტი	30	16	8	6	52-35	56
ტორპედო	30	15	7	8	53-42	52
კრ. სოვეტ.	30	14	7	9	38-23	49
სატურნი	30	13	8	9	45-22	47
ცსკა	30	12	11	7	39-30	47
სოკოლი	30	12	5	13	31-42	41
დინამო	30	10	8	12	43-51	38
როტორი	30	8	8	14	38-42	32
ანჟი	30	7	11	12	28-34	32
როსტსელ.	30	8	8	14	29-43	32
ალანია	30	8	8	14	31-47	32
ტორპ. ზილი	30	7	10	13	22-35	31
ფაკელი	30	8	4	18	30-53	28
ჩერნომორ.	30	5	8	17	19-54	23

რუსეთის ჩემპიონი გახდა „სპარტაკი“ და მეორეადგილოსან „ლოკომოტივთან“ ერთად მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. „ზენიტი“, „ტორპედო“ და „კრილია“ უეფას თასზე ითამაშებენ. უმაღლეს ლიგას გამოეთხოვნენ „ფაკელი“ და „ჩერნომორეცი“.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„ოლიმპიაკოსი“ ითხოვს არ ჩაუთვალონ გამარჯვება!

საბერძნეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერმა „ოლიმპიაკოსმა“ ეროვნულ საფეხბურთო ლიგას მიმართა უჩვეულო თხოვნით – არ ჩაუთვალონ გამარჯვება „ეგალეოსთან“ მატჩში და დართონ გადათამაშების ნება. „ოლიმპიაკოსმა“ ეს შეხვედრა მოიგო 4-3 პენალტის წყალობით, მას შემდეგ, რაც ანგარიში იყო 3-3.

„ოლიმპიაკოსს“ არ სჭირდება ქულები, რომელიც მას არ დაუმსახურებია. ჩვენი მოთამაშე აღიარებს, რომ არ იყო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის საფუძველი, რისთვისაც ვითხოვთ მატჩის გადათამაშებას“ – განაცხადა ათენში „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელმა სოკრატეს კოკალისმა. საეჭვო მომენტი შეიქმნა თამაშის მიწურულს, როცა საჯარიმო მოედანში წაიქცა „ოლიმპიაკოსის“ მოთამაშე სტელიოს ჯანაკოპულოსი და მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა აღიარა, რომ ის თავად წაიქცა და არავითარი დარღვევა არ ყოფილა. „მე წესიერი კაცი ვარ და არ მსურს ისე გაიგონ, თითქოს არტისტულად დავვარდი და მსაჯი შევიყვანე შეცდომაში. სამართლიანი იქნებოდა ეს მატჩი ხელახლა ვითამაშოთ“ – განაცხადა ჯანაკოპულოსმა.

„მეკარეთა მომაკვდინებელი“ საავადმყოფოში მოათავსეს

გუშინ სან-პაულუში, საავადმყოფოში მოათავსეს 88 წლის ლეონიდას და სილვა – ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. ლეონიდასი ალცჰეიმერის დაავადებითაა შეპყრობილი.

ბრაზილიაში ლეონიდასი ჯერ გამოდიოდა „ფლამენგოში“, შემდეგ „სან-პაულოში“. სწორედ ამ კლუბებში მოიპოვა მან დიდება. ფორვარდმა მოასწრო ეთამაშა აგრეთვე „ბოტაფოგოში“, „ვასკო და გამასა“ და „სირიო ლობანესში“. 1933 წელს ცოტა ხნით მინდორზე სათამაშოდ გამოდიოდა ურუგვაის „პენიაროლის“ მაისურით. გულშემატკივრებმა მას „შავი ბრილიანტი“ შეარქვეს. ბევრწილად სწორედ ლეონიდასის წყალობით შეიცვალა დამოკიდებულება ბრაზილიაში შავკანიანი ფეხბურთელებისადმი. სხვათა შორის, მას კიდევ ერთი მეტსახელი ჰქონდა: „მეკარეთა მომაკვდინებელი“. ლეონიდასი, მართლაც მომაკვდინებელი დარტყმით გამოირჩეოდა. როცა ის პენალტის ან ჯარიმის დასარტყმელად ემზადებოდა, ზოგიერთი მეკარე, იყო შემთხვევები, კარის ძელს „ეხუტებოდა“. ერთი ლეგენდის თანახმად, ლეონიდასს თითქოს ბუცებით თამაშიც კი ეკრძალებოდა, მაგრამ შიშველი ფეხითაც ისე ურტყამდა, კარის ძელები ზანზარებდა, ზოგჯერ იმტვრეოდა კიდეც.

ლეონიდასი მონაწილეობდა მსოფლიოს ორ ჩემპიონატში: 1934 წელს – იტალიაში და 1938 წელს საფრანგეთში. მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში საუკეთესო ბომბარდირი გახდა – გაიტანა 8 გოლი. ვიდრე ფრანგი ფონტენი 13 გოლს არ გაიტანდა ერთ ჩემპიონატში, ლეონიდასის მსოფლიო რეკორდი უცვლელი იყო.

ლეონიდასმა ფეხბურთი 1950 წლამდე ითამაშა. მხოლოდ 8 წლის შემდეგ ასრულდა მისი ოცნება – ბრაზილია 1958 წელს პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში ბევრს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ლეონიდასისა და მისნაირების დამსახურება უდევს საფუძვლად ბრაზილიის საფეხბურთო ტრადიციას. ახლა ვეტერანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ფაქტობრივად, თვალყურს ადევნებს მთელი ქვეყანა. ქვეყნდება სამედიცინო ბიულეტენები. ხოლო კლუბები, სადაც ლეონიდასი თამაშობდა, მზად არიან შექმნან მისი დახმარების ფონდი.

სურათზე: ბრაზილია – პოლონეთი. 6-5. შეტევაზეა ლეონიდასი.

ოუენს ისევ პრობლემები გაუჩნდა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, ინგლისის ნაკრების მთავარმა გოლეადორმა მაიკლ ოუენმა შეიძლება მონაწილეობა ვერ მიიღოს შვედებთან ამხანაგურ მატჩში. „ლივერპულის“ ფორვარდმა ამ სეზონში უკვე გამოტოვა რამდენიმე მატჩში ფეხის დაზიანების გამო და მხოლოდ ერთი კვირის წინ მოიშუშა ბოლო ტრავმა. ახლა ნაკრების განკარგულებაში მყოფმა 21 წლის ფეხბურთელმა კვლავ შეიგრძნო ფეხის ტკივილი. ექიმები ირწმუნებიან, რომ ჯერჯერობით სერიოზული არაფერია, მაგრამ დართავენ თუ არა მას ნებას ითამაშოს შაბათს ამხანაგურ მატჩში, მხოლოდ დღეს გახდება ცნობილი.



ფიფა სასჯელებს ამკაცრებს

ფიფამ გადაწყვიტა გაამკაცროს სასჯელი მინდორზე ფეხბურთელთა სიმულაციისათვის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კორეა-იაპონიაში. არტისტული მოქმედებისთვის ფეხბურთელები დაუყოვნებლივ დაამსახურებენ წითელ ბარათს. თვით ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის თქმით ეს კეთდება იმ ფეხბურთელთა დასაშინებლად, რომლებიც ცდილობენ არტისტიზმით გააცურონ მსაჯები და მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგს.

ამ საკითხზე მსჯელობისას თავიდან ვარაუდობდნენ ფეხბურთელთა გაფრთხილებას, მაგრამ ბლატერმა განაცხადა, რომ მსაჯებს მიეცემათ პირდაპირ წითელი ბარათის გამოყენების რეკომენდაცია. ამასთან, შემოიღებენ ვიდეო-კონტროლის ისეთ სისტემას, რომელიც მსაჯს შესაძლებლობას მისცემს მეყსეულად იხილოს ის ვიდეოკადრი, რომელიც მას ესაჭიროება მკაცრი გადაწყვეტილების მისაღებად. „როცა ფეხბურთელმა იცის, რომ მის საქციელს ვიდეოკამერაც აფიქსირებს, ისინი უკეთ მოიქცევიან მოედანზე და პატივს სცემენ „სამართლიანი თამაშის“ პრინციპს“ – დასძენს ფიფას პრეზიდენტი.

გამოიწერეთ გაზეთი „მაცნე“

სააქციო საზოგადოება „მაცნე“ გთავაზობთ ქართული, რუსული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების გამოწერას. თქვენს მიერ გამოწერილი გამოცემები მოგეწოდებათ ქ. თბილისის ნებისმიერ მისამართზე. დატარება ხორციელდება უფასოდ.

ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების, წიგნებისა და საასწავლო სახელმძღვანელოების „მაცნეს“ კატალოგი შეგიძლიათ მიიღოთ სს „მაცნეს“ პრესის გავრცელების ჯიხურებში და ქვემოთ მითითებულ მისამართებზე უფასოდ.

ხელმოწერის გაფორმება შეიძლება „მაცნეს“ ხელმოწერის პუნქტებში, შემდეგ მისამართებზე:

– ცენტრალური ოფისი
– კ. გამსახურდიას გამზ. 42 ტ. 37-47-49
– კ. გამსახურდიას გამზ. 39 ტ. 25-33-88
– რუსთაველის პრ. 31 (ცენტრ. ტელეგრაფის შენობა) ტ. 98-57-22
– ი. ჭავჭავაძის გამზ. 46 ტ. 22-64-58
– რ. თაბუკაშვილის ქ № 12 ტ. 93-12-94
– აკ. წერეთლის გამზ. 73 ტ. 34-75-51
– ი. ჯაბახიშვილის (კალინინის) ქ.14 ტ. 95-87-36
– ქეთევან წამებულის გამზ. 61 ტ. 74-14-47 ტ. 71-32-87
– დ. გურამიშვილის გამზ 30 ტ. 60-80-22

ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ყოველდღიურად (გარდა შაბათისა) 12.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე შემდეგ ტელეფონებზე: 25-33-88.

დაზოგეთ დრო, გამოიწერეთ და თქვენ კმაყოფილ.ა დარჩებით.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ბოლივია — ბრაზილია

ეკვადორი — ურუგვაი

სამხრეთ ამერიკა

ბოლივია — ბრაზილია 3-1

ბოლივია: სორია, რიბეირო, პენია, პას გარსია (პერსი სოლკე 67), სანჩესი, როხასი, ოლივარესი, გალინდო (გუტიერესი 56), ბალდივიესო, პაზი (კასტილიო 75), ბოტერო.

ბრაზილია: მარკუში, ედმილსონი, ეუანი (ჟუნინიო პაულისტა 75), ლუსიუ, კაფუ, ემერსონ ფერეირა, ვამპეტა (ჟილბერტო სილვა 62), ზე რობერტო (დენილსონი 56), სერჟინიუ, რივალდო, ედილსონი.

გოლები: 0-1 ედილსონი (25), 1-1 პაზი (43), 2-1 ბალდივიესო (80), 3-1 ბალდივიესო (88 პენ).

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა მაღალმთიან ბოლივიაში მორიგი ფიასკო განიცადა. ბრაზილიელები თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე ჩავიდნენ ბოლივიის დედაქალაქში. შეხვედრის დასაწყისი მიმდინარეობდა ბრაზილიელთა უპირატესობით, რომლებმაც შეხვედრის 25-ე წუთზე გახსნეს ანგარიში, ეს გააკეთა ედილსონმა. პირველი ნახევრის დასასრულს, მასპინძლები გააქტიურდნენ და პაზი ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ნახევარში ბრაზილიელებს დაღლა დაეტყოთ და შეხვედრის დასასრულს ბრაზილიელთა მეკარე მარკუშმა დაახლოებით 40 მეტრიდან დარტყმული ბურთი გაუშვა, ხოლო 88-ე წუთზე საჯარო 11-მეტრიანიდან ბალდივიესო „დუბლს" ასრულებს. საბოლოოდ 3-1 ბოლივიელთა სასარგებლოდ.

ეკვადორი — ურუგვაი 1-1

0-1 ოლივეირა (44 პენ), 1-1 კავიედესი (73).

ეკვადორის ნაკრებმა პირველად ისტორიაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში თამაშის უფლება. ამ შეხვედრაში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს პირველი ტაიმის მიწურულს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. მეორე ნახევრის 73-ე წუთზე აგინაგას გადაცემით ივან კავიედესი ათანაბრებს ანგარიშს და ეკვადორის ნაკრები ერთი ტურით ადრე ინაღდებს კორეა-იაპონიის საგზურს.

კოლუმბია — ჩილე 3-1

1-0 გრიზალესი (19), 1-1 რივეროსი (38), 2-1 ხუან პაბლო ანხელი (67), 3-1 გონსალესი (68).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	16	12	3	1	39-14	39
პარაგვაი	16	9	3	4	28-16	30
ეკვადორი	17	9	3	5	23-20	30
ბრაზილია	17	8	3	6	28-17	27
ურუგვაი	17	7	5	5	18-12	26
კოლუმბია	17	6	6	5	16-15	24
ბოლივია	17	4	5	8	20-32	17
პერუ	16	4	3	9	13-22	15
ვენესუელა	16	4	1	11	15-40	13
ჩილე	17	3	2	12	15-27	11

ბოლო ტური. 14 ნოემბერი

ურუგვაი — არგენტინა,
ბრაზილია — ვენესუელა
პარაგვაი — კოლუმბია
ჩილე — ეკვადორი
პერუ — ბოლივია

კონკაკაფი

ბოლო ტური. 11 ნოემბერი

მექსიკა — ჰონდურასი
იამაიკა — კოსტა რიკა
ტრინიდადი და ტობაგო — აშშ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოსტა რიკა	9	6	2	1	16-7	20
აშშ	9	5	1	3	11-8	16
მექსიკა	9	4	2	3	13-9	14
ჰონდურასი	9	4	2	3	17-14	14
იამაიკა	9	2	2	5	7-13	8
ტრინ.და ტობ.	9	1	1	7	5-18	4

კოლუმბია — ჩილე

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი (პლეი-ოფი)

ქვეყნები, ნაკრებთა შემადგენლობანი

გერმანია

რუდი ფიოლერი

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა დაასახელა შემადგენლობა უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ:

მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი)

მცველები: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), სებასტიან კელი (ფრაიბურგი), ტომას ლინკე (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ბაიერი), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი).

ნახევარმცველები: მიჰაელ ბალაკი (ბაიერი), იორგ ბეგე (შალკე 04), დიტმარ ჰამანი (ლივერპული), კარსტენ რამელოვი (ბაიერი), ლარს რიკენი (დორტმუნდი), ბერნდ შნაიდერი (ბაიერი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი)

თავდამსხმელები: ჰერალდ ასამოა (შალკე 04), ოლივერ ბირჰოფი (მონაკო), მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), ოლივერ ნოვილი (ბაიერი), ალექსანდრ ციკლერი (ბაიერნი).

ბელგია

მეკარეები: დე ფლიგერი (ვილემ II), მონსი (გენკი)

მცველები: დე ბუკი (ანდერლეხტი), კლემენი (ბრიუგე), ვალგარენი (სელტიკი), ვან კერკჰოვენი (შალკე 04), დეფლიანდერი (ლიონი), პეტერსი (გენტი), სიმონსი (ბრიუგე), ვან მეირი (სტანდარდი)

ნახევარმცველები: ბოფინი (სტ ტრუიდენი), ვალემი (სტანდარდი), ვერმანტი (შალკე 04), ვანდერ ჰაგე (ანდერლეხტი), ჰენდრიკსი (ანდერლეხტი), გორი (ჰერტა).

თავდამსხმელები: გუსენსი (სტანდარდი), სონკი (გენკი), ვან ჰოუდტი (მიონხენგლადბახი), ვერჰეიენი (ბრიუგე).

ავსტრია

მეკარეები: ვოლფჰარტი (ავსტრია), მანინგერი (ფიორენტინა), გორიუპი (კერნტენი)

მცველები: ჰიდენი (რაპიდი), ვინკლჰოფერი (საარბრიუკენი), პრილაზნიგი (არისი), ბაური (ტიროლი), გოლმაცი (ბრეგენცი), ვუკოვიჩი (კერნტენი).

ნახევარმცველები: ჰერცოგი (ვერდერი), შტრაფნერი (შტურმი), ვაისენბერგერი (მიუნხენ 1860), ჩერნი (მიუნხენ 1860), ლექსა (უნტერჰახინგი), კიტცბილჰერი (ზალცბურგი), შოპი (ბრეში), ვიმერი (აინტრახტი).

თავდამსხმელები: ვასტიჩი (შტურმი), ვალნერი (რაპიდი), ჯაასი (შტურმი), ფლეგელი (პართსი).

თურქეთი

თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა სენოლ გუნესმა დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პლეი-ოფის მატჩებში 10 და 14 ნოემბერს ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ.

მეკარეები: რუშტუ რეჩბერი (ფენერბახჩე), ომარ ჩატკიჩი (გაზიანთეფი), მეტინ აკტაში (ტრაბზონი).

მცველები: ბიულენტ ქორქმაზი, ერგიუნ პემბე, ჰაკან იუნსალი და ემრე ასიკი (ყველა — გალათასარაი), იუმიტ ოზატი (ფენერბახჩე), მეჰმეტ პოლატი (გაზიანთეფი), ალპაი ოჯალანი (ასტონ ვილა), ფატიხი აკელი (მალიორკა).

ნახევარმცველები: არიფი ერდემი და სერგენ იალჩინი (ორივე — გალათასარაი), ტაიფურ ჰავუტჩუ (ბეშიქთაში), აბდულა ერკანი (ფენერბახჩე), ოქანი ბერუქი და ემრე ბელოზოღლუ (ორივე — ინტერი), ტუგაი ქვრიმოღლუ (ბლექბერნი), იუმიტ დავალი (მილანი), იულდირაი ბასტიურქი (ბაიერი), ტაიფუნი ქორქუტი (სოსიედადი).

თავდამსხმელები: ჰასან შაში და იუმიტ კარანი (ორივე — გალათასარაი), ნიჰატ კაჰვეჩი და ილჰან მანსიზი (ორივე — ბეშიქთაში), ჰაკან შუქური (ინტერი).

ჰაკან შუქური

ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ!

შაბათს, 10 ნოემბერს საქართველოს ტელევიზიის I არხზე, 22 საათსა და 25 წუთზე იხილავთ ლეგენდარული ფეხბურთელის დიეგო მარადონას ფეხბურთიდან გაცილების მატჩის ტრანსლაციას. ერთმანეთს ხვდებიან არგენტინის ეროვნული და მსოფლიოს ნაკრები გუნდები.

მარადონა

კანიჯა ვერ ითამაშებს მარადონას გამოსათხოვარ მატჩში

„გლაზგო რეინჯერსის" ფორვარდი კლაუდიო კანიჯა ვერ მიიღებს მონაწილეობას 10 ნოემბერს მარადონას გამოსათხოვარ შეხვედრაში. მწვრთნელ დიკ ადვოკაატთან გასაუბრების შემდეგ კანიჯამ განაცხადა, რომ: „ის არის პროფესიონალი და არ აქვს უფლება დააღალატოს ის ხალხი, რომელიც მასზეა დამოკიდებული". კლაუდიომ ასევე აღნიშნა, რომ სწუხს რადგან გამოტოვებს თავისი მეგობრის გამოსათხოვარ შეხვედრას. შეგახსენებთ, რომ კანიჯა და მარადონა ერთად მონაწილეობდნენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც არგენტინამ მოიპოვა ვერცხლის მედალი, ასევე მონაწილეობდნენ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც მარადონას დისკვალიფიკაცია მისცეს დოპინგის გამოყენების გამო.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ახალი ამბები

კოლუმბიისა და ჩილეს ნაკრებთა თამაში სკანდალით დასრულდა

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში კოლუმბიისა და ჩილეს მატჩი უხეში ფეხბურთისა და სადავო მსაჯობის ცუდ მაგალითად იქცა. არგენტინელმა მსაჯმა დანიელ გიმენესმა ჩილეს ნაკრების ფეხბურთელებს ოთხჯერ აჩვენა წითელი ბარათი.

ჩილელთა მთავარმა მწვრთნელმა ხორხე გარსესმა, პროვოკაციული უწოდა კოლუმბიელ ფეხბურთელთა მოქმედებას მინდორზე, მსაჯის რეაგირება კი წინასწარ გამიზნულად შეაფასა.

მატჩი კოლუმბიელთა გამარჯვებით დასრულდა. ორი გადამწყვეტი გოლი მათ მას შემდეგ გაიტანეს მეტოქის კარში, რაც მოედანზე დარჩა ჩილელთა 9 ფეხბურთელი. ამ გამარჯვებით ამერიკის თასის მფლობელმა კოლუმბიელებმა იაპონია-კორეაში გამგზავრების შანსი შეინარჩუნეს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ფეხბურთის „წმინდა“ ადგილს ქმნიან

ჩრდილოეთ ირლანდიის სოფლის მცხოვრებლებმა თავი გამოიდეს მიწის იმ ნაკვეთის დასაცავად, რომელზედაც პირველად დაარტყეს პენალტი. საქმე იმაშია, რომ ამ „წმინდა“ ადგილის ტერიტორიაზე დაგეგმილია ოფისებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. უკვე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი იმ ადგილის დასაცავად, სადაც 1980 წელს ოლიმპიერმა მაკრონმა პირველი პენალტი აიღო. სწორედ მაკრონს ეკუთვნოდა საჯარიმო მოედნის იდეა, რაც ერთი წლის შემდეგ ირლანდიიდან ბრიტანეთში გადანერგეს, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

1965 წ. ბეკენბაუერი (მარცხნივ) და ნეტცერი ნაკრებში მიიწვიეს

ლეგენდარული კაპიტნები

„რჩეულნი რჩეულთა შორის“ — ამ რუბრიკით ინტერნეტმა საიტით „სპორტკლუბი“, გაავრცელა მასალები ლეგენდარულ საფეხბურთო კაპიტნებზე: ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინზე, ბობი ჩარლტონზე, იგორ ნეტოზე, ვიქტორ კოლოტოვზე და ალექსანდრე ჩივაძეზე. დღეს ფრანც ბეკენბაუერზე მოგითხრობთ.

ფრანც ბეკენბაუერი: დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს მიუნხენში (გერმანია). ამპლუა: ცენტრალური მცველი. „ბავარიის“ კაპიტანი 1967 წლიდან.

ეროვნულ ნაკრებში პირველად 20 წლისამ ითამაშა. ნაკრებში ჩაატარა 103 მატჩი, რომელთაგან 50 შეხვედრაში კაპიტანი იყო. გაიტანა 14 გოლი. დაჯილდოებულია ფიფას ორდენით. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — ორჯერ ფლობდა „ოქროს ბურთს“ 1972 და 1976 წლებში. 1976 წელს გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 1972 წლის ევროპის ჩემპიონი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი. „ბავარიასთან“ ერთად სამჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი.

ბეკენბაუერს ძალიან უხდებოდა მეტსახელი — კაიზერი, რითაც ღრმა პატივისცემის ნიშნად დააჯილდოვეს იგი თვით თანაკლუბელებმა. მას, მართლაც, როგორც მეფეს, შეეძლო ღიად ეთქვა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ: „ვფიქრობ, ცოტა გადავიწვრთენით. მაგრამ, მაინც, ჩვენ გვსურს გავხდეთ მსოფლიო ჩემპიონები ფეხბურთში და არა წვრთნაში!“

ბეკენბაუერი — ნაკრების კაპიტანი

საფეხბურთო მინდორზე ბეკენბაუერი იყო თავისებური რევოლუციონერი. მან სრულიად შეცვალა გულშემატკივართა შეგნებაში წარმოდგენა ცენტრალური მცველის ამპლუაზე. მანამდე მცველები უპირატესად მხოლოდ დაცვით ხაზს ამაგრებდნენ, იგერიებდნენ ან ართმევდნენ ბურთს მეტოქეს და აწოდებდნენ ნახევარმცველებს, რათა ისინი დაძრულიყვნენ შეტევაში. ბეკენბაუერი კი თავად ერთვებოდა იერიშში და გოლებიც გაჰქონდა. იგი გერმანიის ნაკრების კაპიტნად აირჩიეს მაშინ, როცა გუნდში ცოტა როდი იყო მასზე ასაკით და გამოცდილებით უფროსი. მთავარი და გადამწყვეტი აქ ის იყო, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად, მისი როლი მინდორზე განუსაზღვრელად დიდი იყო. ფაქტობრივად, იგი მართავდა თამაშს, ხელთ ეპყრა მისი სადავეები და აღიარებული იყო ლიდერად.

ფიფას პრეზიდენტი ბლატერი ბეკენბაუერს ულოცავს ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებას

კარიერის დამთავრების შემდეგ ყველა ფეხბურთელი როდი ხდება მწვრთნელი და საერთოდ, გავლენიანი პიროვნება. ბეკენბაუერმა კი შეძლო მოეგო მსოფლიო ჩემპიონატი არა მხოლოდ, როგორც ფეხბურთელს, არამედ, როგორც მწვრთნელსაც გერმანიის ნაკრებში. შემდეგ ის გახდა „ბავარიის“ პრეზიდენტი. შესთავაზეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს წინადადება გადაჭრით უარყო. შემდეგ ხმები დადიოდა, რომ მას დიდი შანსი ჰქონდა გამხდარიყო ფიფას პრეზიდენტი, თუმცა თავი არც გამოიდო. ესეც მეფური გონიერების კიდევ ერთი დასტური.

უკრაინაში გადასახადს აწესებენ ფეხბურთელთა ტრანსფერზე

უკრაინის საგადასახადო ადმინისტრაციამ მთლიანად დაუჭირა მხარი პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორის ნიკოლაი ტომენკოს ინიციატივას უკრაინის ფეხბურთელთა ტრანსფერებზე გადასახადის დაწესების თაობაზე. პოლიტოლოგის თქმით, მას მადლობა გადაუხადეს „კანონმდებლობაში შესატანი ცვლილების წინადადების მიწოდებისთვის“.

საგადასახადო ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ წინადადება ძალზე აქტუალურია და მხარდაჭერას იმსახურებს, რაც მომავალში კანონში აისახება და ყოველდღიურ საქმიანობაში დაინერგება.

ახლა ყველას გაახსენდა, რომ ათეულობით წამყვანი უკრაინელი ფეხბურთელი გაიყიდა უცხოეთში, თანხაც ათეულ მილიონებს შეადგენს, მაგრამ, ოფიციალურად, თუ რამდენად გაიყიდა ესა თუ ის ფეხბურთელი, ყოველთვის როდია ცნობილი საზოგადოებისთვის. მძლავრობს ჩრდილოვანი ეკონომიკა, რასაც ზურგს უმაგრებს ფარული გარიგებები. უკრაინის კანონმდებლობა, როგორც ფიქრობენ, მალე დაამყარებს წესრიგს ამ სფეროში.

ფიფას კომისიამ მოიწონა იაპონიის სტადიონები

ფიფას საგანგებო კომისიამ დაათვალიერა იაპონიის ის სტადიონები, სადაც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები ჩატარდება. „კომისიამ დაადგინა, რომ სტადიონები მზადაა ჩემპიონატისთვის“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ და დასძინა: „მოხარულები ვართ გაუწყოთ, რომ ჩემპიონატი შეგვიძლია დავიწყოთ თუნდაც ხვალიდანვე — იმედი მაქვს ყველა მატჩზე ყველა ბილეთი გაიყიდება“.

რივალდო

ბარსას გულშემატკივრები შოკში ჩავარდნენ

ესპანეთის პრესამ „სამარცხვინო ნოკაუტი“ უწოდა „ბარსელონას“ მარცხს მესამე დივიზიონის გუნდთან „ფიგუერესთან“ გუშინწინდელ მატჩში ესპანეთის თასის გათამაშების პირველ რაუნდში. კატალონიის ცნობილ გუნდში სხვადასხვა მიზეზის გამო, ძირითადი ბირთვის თერთმეტი ფეხბურთელი არ იყო. ჟურნალისტების რისხვა დაატყდათ ისეთ ცნობილ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან მარკ ოვერმარსი და ხავიერ სავიოლა, რომლებმაც უსახოდ ითამაშეს.

„მთელ ქვეყანაში სასაცილო გავხდით, თავიდან დასასრულამდე ვთამაშობდით საშინელ ფეხბურთს. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვაჯობოთ მესამე დივიზიონის ნებისმიერ გუნდს ნებისმიერი შემადგენლობით. სამწუხაროდ, გუნდი ვერ განეწყო. ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მიიღო კლუბის ავტორიტეტმა, რომლის გამოც დიდხანა ვერ მოვეგებით გონს“ — თქვა „ბარსელონას“ მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა. შეგახსენებთ, რომ კატალონიელთა სიამაყეს თავსლაფი დაესხა რამდენიმე დღის შემდეგაც, — არასასიამოვნო მარცხი იწვნია მადრიდის „რეალთან“ მატჩში. ერთადერთი, რითაც თავი შეუძლიათ დაიმშვიდონ ბარსას გულშემატკივრებმა, ის არის, რომ მათი კერპის მსგავსად, „ბეტისმა“, „ვალენსიამ“ და თასის ახლანდელმა მფლობელმა „სარაგოსაცაც“ წააგეს პირველი ეტაპის მატჩები.

ბრიგელი - „ტრაბზონსპორში“

წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი ჰანს-პეტერ ბრიგელი ამიერიდან თურქეთის „ტრაბზონსპორში“ იმუშავებს მთავარ მწვრთნელად სადი თექილიოღლუს ნაცვლად, რომელიც ამ დღეებში გადადგა. ბრიგელი კლუბში იმუშავებს მიმდინარე სეზონის ბოლომდე, მაგრამ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეიძლება კონტრაქტის გაგრძელება კიდევ ერთი წლით. 1999-2000 წლებში ბრიგელი უკვე მუშაობდა თურქეთში, ჯერ მეორე, შემდეგ კი მთავარ მწვრთნელად ქვეყნის ცნობილ კლუბ „ბეშიქთაშში“.

„ტრაბზონსპორი“ თურქეთში ერთ-ერთი პოპულარული კლუბია, მაგრამ ამ სეზონში, ჯერჯერობით, წარუმატებლად გამოდის - მხოლოდ IX ადგილზეა ქვეყნის ჩემპიონატში.

ტუმილოვიჩი - ბელორუსიის საუკეთესო ფეხბურთელია

ვიტალი ტუმილოვიჩი

„როსტსელმაშისა“ და ბელორუსიის ნაკრების მეკარე გენადი ტუმილოვიჩი დასახელებულია ბელორუსიის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. გამოკითხვა მოაწყო დამოუკიდებელმა გაზეთმა „პრეს ბოლომ“ და ბელორუსიის ფეხბურთის ფედერაციის გაზეთმა „ყველაფერი ფეხბურთზე“.

„დასანანია, რომ ჩვენ ვერ გავედით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი თამაში ასე შეაფასეს მაყურებლებმა და სპეციალისტებმა“ — განაცხადა ტუმილოვიჩმა.

ი უ მ ო რ ი

მამამ გაზეთში ამოიკითხა, რომ პერსპექტიულმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა საფეხბურთო კლუბთან 10 მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მამა მიდის შვილთან, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებს ჩაკირკიტებს და მკაცრად ეუბნება:
— აქ რას უზიხარ, უმჯობესია წახვიდე და ბურთს სდიო.

* * *

მატჩი მიმდინარეობს. არბიტრი ზედმეტად მკაცრად ასრულებს თავის მოვალეობას, ერთ-ერთი მწვრთნელი უყვირის:
— ნუ უსტვენ, ფულს ვერ მიიღებ!

* * *

მამა, (მიმართავს ბავშვი) წამიყვანე ცირკში.
— არა, შვილო, უმჯობესია ფეხბურთზე წავიდეთ.
— სასაცილო იქნება?
— იქნება, ძალიან სასაცილო იქნება.
— მასხარებიც იქნებიან?
— იქნება, თანაც იცი რამდენი? ოცდაორი. მსაჯებიანად — უფრო მეტი!

* * *

მწვრთნელი ბრალს დებს ჟურნალისტებს.
— დაამახინჯეს ჩემი ნათქვამი. დაწერეს თითქოს ზედიზედ 2 მატჩს თუ წავაგებდით, გადავდგებოდი. მათ 0 გამორჩათ 2-ის შემდეგ.

მიხაელ შუმახერის სპორტული და ცხოვრებისეული პორტრეტი

არ შეიძლება ადამიანს უმტკიცო, რომ ორჯერ ორი ოთხია, რომ დედამიწა ბრუნავს, რომ... მიხაელ შუმახერია ჩვენს პლანეტაზე. მიხაელი, ცხოვრებაში, მეტოქეებისგან განსხვავებით, ძალიან წინ გაიჭრა და იგი, სიმბოლურად რომ ვთქვათ, ხშირად უცქერს მათ თავისი მანქანის უკანა ხედვის სარკიდან.

წლევანდელი სეზონი ამ გერმანელი მრბოლისთვის სამაგალითო-საჩვენებელი გამოდგა. მან დაამხო პრაქტიკულად ყველა რეკორდი, რაც კი „ფორმულა-1"-ის 50-წლიან ისტორიაში იყო დაფიქსირებული. ახლა მის ანგარიშზე ყველაზე მეტი მოგება — 53, ყველაზე მეტი ქულა — 801, ოთხგზის ჩემპიონის ტიტული — ეს უკანასკნელი, მართალია, ბოლო არ არის, მან ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიო უძლიერესი მრბოლის წოდება, გადაუსწრო რა, არგენტინელ მანუელ ფანხიუს. მანუელი დი-

მიხაელ შუმახერი

დი ხანია აღარ გამოდის რბოლებში, მიხაელი კი მზადაა კიდევ 8 წელიწადს ასპარეზოს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა წლევანდელ 11 სექტემბრამდე. ნიუ-იორკის ტერაქტებმა კი მასზე ძლიერად იმოქმედა. ახლობლები იმასაც ამბობდნენ, რომ მიხაელს გული გაუტყდა და სურს მეტი დრო ოჯახთან ერთად გაატაროს. თუმცა, „იტოგთან" ინტერვიუში მან ყოველგვარი ხმები უარყო და დღეს ის 2002 წლის სეზონზე ფიქრობს.

„მიუხედავად იოლი გამარჯვებისა, წლევანდელი სეზონი ჩემთვის გასაჭირნება არ ყოფილა. მე იმიტომ დავწინაურდი, რომ საოცრად არ უმართლებდა დევიდ კულტჰარდს. მომავალი სეზონი უფრო მძაფრი იქნება" — უთხრა მიხაელმა „იტოგის" კორესპონდენტს.

● *ახალ სეზონამდე 6 თვე რჩება, ამ დროს მთლიანად წვრთნას მოახმართ?*

— ცხადია, არა. საწვრთნო რბოლებს მხოლოდ იანვარში დავიწყებ. დეკემბერში ფიზიკური მომზადების ეტაპს გამოვტოვებ. იანვრამდე ოჯახთან ერთად გავემგზავრები ნორვეგიაში, სადაც სახლი მაქვს და მთელ ოჯახს გვიყვარს იქ ზამთრის პერიოდის დიდი ნაწილის გატარება.

● *რბოლებს შორის შესვენების დროსაც ოჯახთან ყოფნას-ანიჭებთ უპირატესობას?*

— ნამდვილად ასეა. ვგიჟდები ბუნებაზე, სიწყნარეზე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ წელიწადში შვიდ თვეს ვატარებ ავტოდრომებზე გაავებული ძრავების ხმაურში. მომწონს ვიცხოვრო იქ, სადაც სახლიდან გამოსულს ვინმე არ ამედევნება ფოტოკამერით. აი, რატომ ვცხოვრობ მუდმივად წყნარ შვეიცარიაში და არა გერმანიაში.

● *რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც შვეიცარია?*

— იქ გერმანიისგან განსხვავებით, სასიამოვნო საგადასახადო სისტემაა.

● *რამდენად მნიშვნელოვანია ფული თქვენთვის?*

— იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, მაგრამ ზედმეტად არ უნდა შეაფასო მისი მნიშვნელობა.

● *გამოდის, რომ ფული არ არის ერთადერთი, რისთვისაც თქვენ სტარტზე გამოდიხართ...*

— რა თქმა უნდა. მე მიყვარს რბოლა, სისწრაფის მართვა.

● *და მაინც, რამდენი ფული გაქვთ?*

— მშვენიერი შეკითხვაა, მაგრამ აზრზე არა ვარ, რამდენი ფული მაქვს. თუ ძალიან გაინტერესებთ, ჩემს ფინანსისტებს მიაკითხეთ.

ჟურნალისტის განმარტება: ცნობილია, რომ მიხაელ შუმახერს „ფერარი" ყოველ რბოლაში უხდის 2 მილიონზე მეტ დოლარს. ასე რომ, წელიწადში შემოსავალი შეადგენს 30 მილიონს. ეს მინიმუმია. ამას დაუმატეთ შემოსავლები რეკლამიდან.

● *როგორ მოიხმართ თქვენს მიერ გამომუშავებულ მილიონებს?*

— საკმაოდ კონსერვატორი ვარ. ვინახავ ფულს ბანკში და თვალყურს ვადევნებ, როგორ იმატებს იგი.

● *ამბობენ, რომ ცოტა ძუნწი ხართ...*

— გააჩნია, რას გულისხმობთ, მე ფულს ფანჯრიდან არ ვკრი და ქარს არ ვატან. არასდროს შევდივარ კაზინოში, იმიტომ რომ იქ მუდამ აგებენ. ფულს არ ვხარჯავ ფუფუნებაზე, მაგრამ არასდროს ვიკლებ, რაც საჭიროა. აი, მაგალითად, მყავს თვითმფრინავი, მაგრამ მას ვერასგზით ვერ ვუწოდებ ფუფუნების საგანს, ეს ისაა, რაც ნამდვილად მჭირდება. მე ხომ ბევრს დავდივარ საქმეებზე — ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში. საკუთარი თვითმფრინავით, ეს ქვეყნები შეიძლება ერთ დღეში მოვიარო.

● *დავუბრუნდეთ რბოლებს, მართლა არასდროს ღელავთ სტარტის წინ?*

— მე ადამიანი ვარ და არა მანქანა. ცხადია, ზოგჯერ განვიცდი დაძაბულობას, შინაგან ზეწოლას, მაგრამ, რაც უფრო მძაფრია იგი, მით უფრო სწრაფად ვახდენ კონცენტრაციას. სტარტზე გასულს კი ყველაფერი მავიწყდება, ვწყნარდები და მხოლოდ შესასრულებელ სამუშაოზე ვფიქრობ. არანაირი ფსიქოლოგი მე არ მჭირდება. დაღლილიც კი მალე გამოვდივარ მდგომარეობიდან.

● *თქვენი ცოლი, კორინა ყველა რბოლას ესწრება?*

— ჩვენ პატარა ბავშვები გვყავს. დედა მათ ყოველთვის ვერ ტოვებს.

● *შინ თუ საუბრობთ რბოლებზე?*

— რა თქმა უნდა, ეს ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია.

● *ეჭვიანი ცოლი გყავთ?*

— საამისო მიზეზი არ არის. აბსოლუტურად არ მაინტერესებს სხვა ქალები. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და ბედნიერები ვართ.

● *თქვენ დაქორწინდით 1995 წელს. მართალია თუ არა, რომ კორინა ბავშვობისდროინდელ თქვენს საუკეთესო მეგობარს ფრენტცენს, ასევე „ფორმულა 1"-ის მრბოლს, წაართვით?*

— მთლად ასე არ არის. დიახ, კორინა იყო ფრენტცენის მეგობარი, მაგრამ, როცა ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს, ფრენტცენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა.

● *ფრენტცენთან ძველებურად მეგობრობთ?*

— ისე არა, როგორც ადრე. მაგრამ ურთიერთობები გვაქვს.

● *ცოლთან ერთად, ხშირად ჩნდებით საზოგადოებაში?*

— ძალიან იშვიათად. არ გვიყვარს შინიდან გასვლა.

● *რა, შიშობთ, რომ არ მოგასვენებენ? თავის შენიღბვა ხომ არ გიცდიათ, რომ არ ეცნეთ?*

— კი, მიცდია. ერთხელ მე და კორინა რესტორანში წავედით სავახშმოდ. გავიკეთე პარიკი და შავი სათვალე. მაგრამ... გზად ბენზინის ჩასასხმელად შევლილს უცებ მოლარის ხმა მესმის: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო შუმახერ".

ძმები რალფ და მიხაელ შუმახერები (მარჯვნივ)

● *კი, მაგრამ, როგორ გიცნეს?*

— შეიძლება ჩემი მკვეთრად გამოსახული ნიკაპით.

● *საინტერესოა, როგორია თქვენი სიმაღლე, წონა?*

— სიმაღლე 174 სანტიმეტრი, წონა 70 კილოგრამი.

● *მიხაელ, რა გაქვთ საერთო თქვენს უმცროს ღვიძლ ძმასთან, 26 წლის რალფთან, გარდა იმისა, რომ ისიც „ფორმულა 1"-ის მრბოლია?*

— მეტი, პრაქტიკულად არაფერი. მე იმათთაგანი ვარ, რომლებიც კომპრომისზე მიდიან. რალფი კი ძნელად თუ მიდის დათმობაზე.

● *„ფორმულა-1" ზედმეტად ძვირი სპორტის სახეობაა. ზოგიერთი მრბოლი თავად იხდის არც თუ უმნიშვნელო თანხას, რათა იასპარეზონ ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. ძმას ფინანსურად თუ ეხმარებით?*

— არასდროს ყოფილა ძმისთვის შემწეობის გაწევის აუცილებლობა. რალფი ყველაფერს აკეთებს დამოუკიდებლად. იცით რატომ? იმიტომ, რომ კარგი მრბოლია.

● *მიხაელ, რა არის თქვენი ჰობი, რით ერთობით თავისუფალ დროს. მარკებს ხომ არ აგროვებთ?*

— არა, მარკების შეგროვება ჩემი საქმე არ არის. არც ტელევიზორთან ჯდომა მიყვარს. თავისუფალ დროს, როგორც წესი, ვუთამაშობ სპორტს — მიყვარს გასეირნება მინირბოლის მანქანით, აკვალანგით ცურვა, მთიან, ლამაზ ადგილებში გასეირნება ველოსიპედით, ფეხბურთის თამაში...

● *აღიარეთ, სპირტიან სასმელებს არ წრუპავთ დასვენების დროს?*

— ჩვეულებრივ, არა. მაგრამ თუ არის რაიმე მიზეზი — დაბადების დღე, შობა, — შეიძლება შევსვა ერთი ჭიქა ღვინო, ლუდი ან შამპანური.

● *რაიმეზე თუ ნანობთ?*

— არ დაგიმალავთ და, — კი. ვისურვებდი უკეთ ამეთვისებინა იტალიური ენა, მე ხომ რბოლებში „ფერარის" სახელით გამოვდივარ.

● *რომელ უცხოურ ენებს ფლობთ?*

— ინგლისურს, იტალიურს და ცოტაც — ფრანგულს.

● *როდისმე გესიზმრებათ კოშმარები?*

— არა, ყოველთვის წყნარი ვარ, ძილშიც. ალბათ ამიტომაც, მსგავსი რამეები არ მესიზმრება, საერთოდ, პოზიტიური პიროვნება ვარ, ვფიქრობ მხოლოდ კარგზე.

● *ვინმესი რაიმე თუ გშურთ?*

— არა, მე ასეთი ნამდვილად არ ვარ.

● *რაზე ოცნებობთ დღეს?*

— სეზონის დაწყებამდე, რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო ოჯახურ წრეში — კორინასთან და ბავშვებთან.

ჟურნალი „იტოგი"

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

9 ნოემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40), ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 16.00, 19.30, 22.00, 2.45), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესახვედრად (15.00, 15.30, 21.00, 21.30), უძლიერესი ადამიანი, გრან-პრი (1.00), ფეხბურთი. პლეი-ოფის სერიის წინ (2.15). ***HTB პლუს ფუთბალ.*** რუსეთის ჩემპიონატის მატჩების დასკვნითი ტურის მიმოხილვა (15.00, 20.15), მსოფლიო ფეხბურთი (15.00), ლათინური ამერიკის საფეხბურთო გეოგრაფია (18.20), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.30), ***HTB პლუს სპორტ.*** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (14.00), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება (23.10), ტაილანდური კრივი (2.35).

10 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. რაგბი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. საქართველო – საფრანგეთი (14.55), დიეგო მარადონას ფეხბურთიდან გაცილების ცერემონიალი (22.25), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა. (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***OPT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: უკრაინა – გერმანია (0.55), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (12.00, 14.00, 16.00), პლეი-ოფის სერიის წინ (18.00, 21.30), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30, 19.30, 22.00), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესახვედრად (21.00, 0.00, 2.15, 3.15). ***HTB პლუს ფუთბალ.*** რუსეთის ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მიმოხილვა (14.00), მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფი: უკრაინა – გერმანია (20.55), ჩემპიონთა ლიგა. პირველი ეტაპის საუკეთესო მატჩები: „რომა" – „რეალი" (22.50), ***HTB პლუს სპორტ.*** კალათბურთი: ნბა-ს ჩემპიონატი (11.45), ევროლიგის მიმოხილვა (15.30), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება (16.00, 17.45, 22.00), მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი (20.00), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალური ტურნირი: ბელგია – ესპანეთი (1.30).

11 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. დიეგო მარადონას ფეხბურთიდან გაცილების ცერემონიალი (14.10, 15.15), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (13.10), „მსოფლიო ფეხბურთი" (19.35). ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 16.00, 21.30, 2.45), ფეხბურთი. . მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზები (12.00 14.00, 17.30, 18.30, 20.30), სპორტის ახალი ამბები აშშ-დან (21.30, 23.45). ფეხბურთი. მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით: მექსიკა – ჰონდურასი (0.00). ***HTB პლუს ფუთბალ.*** მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფი: უკრაინა – გერმანია (13.15, ჩემპიონთა ლიგა: ჟურნალი (18.30), პირველი ეტაპის საუკეთესო მატჩი: „იუვენტუსი" – „სელტიკი" (0.00). ***HTB პლუს სპორტ.*** ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება (16.30), მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის (18.00), ჩოგბურთი, ფედერაციის თასი. ფინალური მატჩი (22.30).



კროსვორდი №88

თარაზულად: 1. ტერმინი ნარდში, 4. გაფრთხილება ძიუდოში, 6. ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 9. ტექნიკური ჯარიმა კალათბურთში, 10. ილეთი ქართული ჭიდაობაში, 11. მოჭადრაკე ... კამსკი, 12. ნივთების და ფულის გათამაშება, 14. ავტომრბოლთა ასპარეზობა, 15. სპორტული შეჯიბრების შედეგის ციფრებში ასახვა, 18. წარსულში ცნობილი ქართველი საკალათბურთო მწვრთნელი, 20. საფარიკაო იარაღი, 22. წარსულში ცნობილი ესტონელი ძალოსანი, 23. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 24. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად მონაკოელთა მწვრთნელი, 25. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი.

ზვეულად: 1. საქართველოს ერთ-ერთი სპორტული გაზეთი, 2. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 3. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 5. მძლეოსნობის იარაღი, 7. საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, 8. ტყვიის სროლაში ოლიმპიური პრიზიორი ვაჟი საქართველოდან. 9. ჭადრაკში მეფის, დედოფლის, ლაზიერის და ა.შ. ერთობლიობა, 13. პროფესიონალი მოკრივე, 16. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, 17. ქართული ხალხური თამაშობა, 19. ფეხბურთში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ქვეყანა, 21. სამაგიდო თამაში.

კროსვორდი №87-ის პასუხები

თარაზულად: 1. ბადმინტონი, 8. პეტრიაშვილი, 9. როგი, 11. „ლიერსი", 12. ულიე, 13. აიბა, 14. „ლეირია", 16. კრივი, 17. ანჩელოტი, 19. ბაჯო, 20. ანძა, 22-23. „სამპდორია", „ჯენოა", 24. ზონინი. **ზვეულად:** 2. „დერბი", 3. ირაო, 4. ნილსენი, 5. „ბენფიკა", 6. სპარტაკიადა, 10. ვაბრიჩიძე, 15. „რეინჯერსი", 18. ტაიმი, 19. ბადრო, 21. ტალი.

საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე

(ზესტაფონი)



ნაღიშამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული (ნადიშამათი 3 სვლაში) სამი ამოხსნით: შავები იწყებენ და ხელს უწყობენ თეთრებს, რომ დააშამათონ შავების მეფე.

I ამოხსნა:
1. ეh7 ეg8 2. ეg7 ეf8X.
II ამოხსნა:
1. მფe8 ეf1 2. ეd7 ეf8X.
III ამოხსნა:
1. მფf6 მფe4 2. ეf7 ეg6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტ.: 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX • „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მ. ი. წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონი'ე.